საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 291 2025 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის თაობაზე

„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) **ეკატერინე ლეჟავა** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – **საბჭოს თავმჯდომარე;**

ბ) **ნატო შეროზია** – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი – **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

გ) **თამარ ჩიკვილაძე** – ა(ა)იპ – კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი – **საბჭოს მდივანი;**

დ) **ნინო ლაბარტყავა** – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი;

ე) **თეა ბაქრაძე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ვ) **მაკა მაისურაძე** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი;

ზ) **მარინე ბაიდაური** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;

თ) **ნინო გიუაშვილი** – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის – „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი;

ი) **რონა პერტია** – სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

კ) **ნათელა ლურსმანაშვილი** – ა(ა)იპ – ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;

ლ) **ნანა ათუაშვილი** – ა(ა)იპ – კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**